

## თხილის ჯული - დასაყრდენი ბიზნესი საქართველოში



საქართველოში გავრცელებულ მრავალ-რიცხვებან კულტურათა შორის, თხილი ერთ-ერთი უძველესია. ბოლო პერიოდში, თხილის გაშენება და მისი პლანტაციების შექმნა განსა-კუთრებით აქტუალური გახდა. ამ ყოველივეზე კი იმოქმედა თხილის ფასმა, რომელიც ბოლო წლებია, მატულობს. თხილის კრეფა ივლისის შუა რიცხვებიდან იწყება და აგვისტოს პირველ ნახევრამდე გრძელდება. ამ პერიოდის განმვა-ლობაში მკეთრად შეიმჩნევა ფასების მატე-ბა-ნაკლებობა. ნედლი თხილი ბევრად ნაკლე-ბად იყიდება, ვიდრე მშრალი. რა ვითარებაა თხილის ექსპორტისა და იმპორტის თვალსაზ-რისით დღეს საქართველოში და რამდენად დასაყრდენი ბიზნესია ჩვენთან ეს კულტურა, ამ და სხვა თემებზე, „აგროსერვის ცენტრის“ დირექტორის მოადგილეს, ბატონ ლევან ბოლ-ქვაძეს ვესაუბრეთ.

- ბატონი ლევან, რამდენად მარტივია საქა-რთველოს პირობებში თხილის გაშენება?

- თხილი, ეს საქართველოს კულტურაა. თხილი ენდემი - კავკასიის აბორიგენი მცენა-რეა. ჩვენი რეგიონის თვის მეთხილეობა უცხო არ არის. საქმიან ბევრი თხილნარი გვაქვს. ჩვენთან არის როგორც ველური, იგივე ტყის თხილი; ასევე, კულტურული ჯიშიც. დასავლეთ საქართველოში რაონების მიხედვით ცნობი-ლია ხუთი, ექვსი სამრეწველო ჯიში, რომელიც ზღვის დონიდან 900-1200 მეტრის სი-მაღლეზე ხარის. თხილი ნაკლებმომთხვენია ნიადაგისადმი. თუმცა, ძალიან მუავე ნიადაგ-თან უჭირს შეთვისება. ის არა მხოლოდ შემო-სავლის ერთ-ერთი საუკეთესო წყაროა, არამედ კარგი კულტურაა ეროზიული მოვლენების მიმართ - თხილით დაკავებული ფართობები ძნელად ჩამოირცხება. მისი გაშენება ყველაზე რომელი დაგილზეც შესაძლებე-ლია, მათ შორის: ციცაბო აღმართებზე, ქვიან ადგილზე და ასე შემდეგ. ყველაზე მნიშვნელო-ვანი თხილის პლანტაციის გაშენებისას ის არის, რომ მას არ სჭირდება განსაკუთრებული მოვ-ლის პირობები. ერთხელ კარგად დარგული და განაყოფიერებული წლების განმავლობაში გაიხარებს. თუმცა, აქვე აღვინობავ, რომ მისი გასხვლა და ბალაბისგან განმენდა, აუცილებე-ლი პირობაა კარგი მსხმიარობისთვის.

გამოცემა გვ-2 გვერდზე

## „აგროსარვის ცენტრის“ ტაბილი ან ბულგარიული რიცხვის სათაური კონკრეტულად



„აგროსერვის ცენტრის“ მეურნეობაში ტკბილი წინაკის, იგივე ბულგარულის სათბური ამოქმედდა. ტკბილი წინაკის 7-8 ჯიში, უკვე გაშენებულია სათბურის ტერიტორიაზე. მცე-ნარის თესლები, ორი დიდი კომპანიის, „ნუნემ-სისა“ და „რიქსვაინის“ ბაზაზე შერჩეული. ესენია: „ცენტურუ“, „სამანდერი“, „კლაუ-დიო“, „შენოურიტი“, „კურსა“, „კაბია“ და სხვა.

თითოეული მათგანი განსხვავებული გარეგ-ნული მახასიათებლებისა და შეფერილობისაა: ყვითელი, წითელი, მწვანე; ფორმით კი - მრგვალი ოვალური, კონუსური და ასე შემ-დეგ. ჰიბრიდები, რომლებიც „აგროსერვის ცენტრის“ სათბურში პოლანდიდანაა შემოტა-ნილი, ნაყოფიერების გარანტიას იძლევა. სათ-ბურში თესლი, თავდაპირველად, პატარა კონ-ტეინერებში ითესება, შემდეგ ხელოვნურ კვე-ბის არეზე - საჩითილე მეურნეობაში გადადის. ხელოვნური საკვები არე, იგივე პირობობინი კვებაა, რომლის მეშვეობითაც მცენარეს საკვები ელემენტები წყალში გახსნილი სახით მიენოდება. ჩითილის გამოსაყვანად, სათბუ-რის პირობებში ბულგარულ წინაკას 25-30 დღე ესაჭიროება. დათევიდან კი 40 დღის განმავლობაში განაგრძობს ზრდას და პირ-ველი ყვავილიც გამოაქვს. ბულგარულ, იგივე მსხვილნაყოფიან ტკბილ წინაკას თავისებური

მოთხოვნილებები გააჩნია. უფრო კონკრეტუ-ლად, მას ესაჭიროება ტემპერატურული რეჟი-მის კონტროლი. ზაფხულის პირობებში მისი მოვლა ნაკლებ პრობლემურია, თუმცა ზამთრის დადგომისთანვე, საჭიროა, ის 27-28°C ტემპე-რატურაზე იმყოფებოდეს. აუცილებელია, რომ ტემპერატურა 15-16°C-ს არ ჩამოსცდეს. აღსან-იშნავია ისიც, რომ სასათბურე პირობებში ბულ-გარულ წინაკას ზრდის გაგრძელება მეორე წელ-საც შეუძლია. თუმცა, ამ შემთხვევაში, ის წინა წელთან შედარებით, ნაკლებ ნაყოფს მოისხ-ამს. შერჩეული ჰიბრიდები საკმაოდ გამძლეა ვირუსული დაავადებების მიმართაც. იმგიათია, აღნიშნულმა თესლებმა, ნიადაგური ვირუსი ან სოკოვანი დაავადება მიიღოს.

გამოცემა გვ-3 გვერდზე

### 2 ახალი კანონი გენეტიკური მოდიფიცირებული გენომიდან გამომდინარებული პროცესების შესახებ

სურსათად/ცხოველის საკვებად განკუთ-ვნილი გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმებისა და მათგან წარმოებული გენომიდან გენომიდან გენეტიკურად მცენარეების შესახებ კანონი 1 ივლისიდან ამო-ქმედდა.

გენმოდიფიცირებული სურსათის ეტიკე-ტზე გმ-ს მითითება უკვე სავალდებულოა.

3

### 3 ჩიტაბის დასაყრდენი ახალი ისარი

სასოფლო-სამეურნეო კულტურებში მოწეული მოსავლის დანაკარგი და ნაყოფის გარეგნული დაზიანება, მნიშვნელოვნად აისახება საბოლოო შემოსავალზე. მოსავლის დანაკარგისა და გარეგნული დაზიანების გამომწვევი ფაქტორებიდან, აღსანიშნავია გარეულ ფრინველთა ზემოქმედება.

მათ მიერ გამოწვეული ზარალი განსა-კუთრებით სასუფრე ყურძენსა და სხვა კენ-კროვან ხილზე, ხშირ შემთხვევაში, საერთო მოსავლის 20-25%-ს შეადგენს.

4

### 4 სამოცნილო-კვლევითი ცანკის რეალობა და განვითარების სამსახურის მიმდევრული ცანკის სამიზნების რეალიზაცია განვითარება

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინ-ისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის წარმომადგენლები „აგროსერვის ცენტრის“ ვაზისა და ხეხილის ნერგების მდგომარეო-ბას გაეცნენ. მცენარეთა ინტეგრირებული დაცვის კვლევის დეპარტამენტის უფროსმა ზურაბ ქიდაშელმა და მეხილე-აგრონომმა ვანო კაკამილმა გვარა-ხუცუბნის სან-ერგ მეურნეობაში, ნერგებისა და ნაყოფის მდგომარეობაში შეისწავლეს და „აგროსერ-ვის ცენტრის“ სპეციალისტებს ცალკეულ კიბეზთან, დაკაგშირებით კონსულტაციები და რეკომენდაციები გაუწიეს.

### 4 საზოგადო საძოვრების მფლობელთა და პირობების ავტომატიზაცია

პირუტყვის სრულფასოვანი კვების გარე-შერე ფერმერი ვერ მიაღწევს მაღალ პრო-დუქტიულობას. სრულფასოვან კვებას განსა-კუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პროდუქ-ტიულობის გაზრდის, საკვების დანახარ-ჯებისა და თვითილი გენეტიკურების შემცირების საქმეში. სწორედ ამიტომ, ყოველი წლის ზაფხულის დასაწყისში ფერმერები საკუთარ საქონელს ბარიდან მთაში მიერეკებიან.

# თხილის კულტურა – ღასაყრდენი ბიზნესი საქართველოში

დასაცისი პირველ გვერდზე

**– რამდენი სახის ჯიში მოიპოვება ჩვენთან და რომელი დომინირებს ბაზარზე?**

– ჩვენთან ჯიშებს ბაზარი არეგულირებს. აჭარაში არის: გულშიშველა, შველისგულა, ანაკლიური, ფუთქურამი, განჯური და სხვა. ეს ჯიშები ჩვენს რეგიონში დარიონებულია. ამ ბოლო დროს, ფართოდ იყიდებს ფეხს ინტროდუქცირებული ჯიში თურქეთიდან – გერასუმი. ეს სახეობა ჩვენი ანაკლიურის მსგავსია. ჩემი აზრით, მათ შორის დიდი განსხვავება არაა. ბაზრის პირობებიდან და მოთხოვნებიდან გამომდინარე, დომინირებს ანაკლიური ანუ, იგივე ქერძული და გულშიშველა თხილი. მათი გულის მოცულება და ფერიც, სხვა ჯიშებისგან განსხვავებით, უფრო მისაღებია მყიდველისათვის.

**– ნინა წლებთან შედარებით, თხილის პლანტაციები გაიზარდა. ამ საკითხში თხილის ფასმა ითამაშა დიდი როლი?**

– დიახ, რა თქმა უნდა, ფასი გადამწყვეტი აღმოჩნდა. თხილის ფართობები, ნინა წლებთან შედარებით, ჩვენს რეგიონში საგრძნობლად გაიზარდა. 3-4 წლის წინა მონაცემების მიხედვით, აჭარაში 700-800 ტონა თხილი მოდიოდა, ეს ბოლო წლებია კი, 2000-2500 ტონა მოგვყავს. იმდენად მოთხოვნადი გახდა ეს პროდუქტი და ხალხიც ისე დაინტერესდა ამ კულტურით, რომ მისი გაშენება, მოვლა-პატრონობა დაიწყეს. ალსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს მასშტაბით, თხილმა ლვინის ექსპორტი გაუსწრო. მისი წმინდა ეროვნული შემოსავლების მიხედვით, ეს ნათლად დასტურდება. თხილს კიდევ უფრო ფართო პერსპექტივა აქვს. ჩვენი, ბოლო 3-4 წლის წინ გაშენებული პლანტაციები ასლა იწყებს ნაყოფის მოცემას, ანუ, სრულ მსხმოიარობაში არ არის. შესაბამისად, ყველანაირი პოტენციალური სამუალება გვაქვს, რომ 4-5 ათას ტონამდე ავიდეთ თხილის მოსავლიანობის თვალსაზრისით. 3-4 წელიწადში ეს შედეგიც გამოჩნდება.

**– რა სახის პროგრამები ხორციელდება ამ კულტურასთან დაკავშირებით?**

– თხილზე ძალიან დიდი მოთხოვნაა და შესაბამისად, სამინისტროც ყოველ წელს აქტიურად მუშაობს. არაერთი პროგრამა განვითარებული ამ კულტურასთან დაკავშირებით, თუმცა დიდი პროექტების დასაწყებად რიგი ფაქტორები გვიშლის ხელს. ჩვენ გვინდა, უფრო დიდ მასშტაბებზე გავიდეთ და მთლიანად რეგიონი მოიცავს ამ კულტურამ, მაგრამ დამაპრეცენტებელი ფაქტორი მიწების პრივატიზაციაა. აჭარაში მიწების რეფორმა დასრულებული არ არის, ანუ, ფერმერ-

პლანტაციის განაშენიანება. გვაქვს ახალი, იტალიური ჯიში, რომელიც გამოცდილია ზუგდიდის რეგიონში. ეს არის ნამყენი ჯიში. მართალია, ჩვენს ფერმერებს თხილის მყნობის გამოცდილება არ ჰქონდათ, მაგრამ შეისწავლეს. იტალიურ თხილს ექნება არა ბუჩქის მსგავსი ფორმა, არამედ ერთშტამბიანი ხესავით სწორმდგომი. ამ ჯიშს გაცილებით მეტი მოსავლის მოცემა შეუძლია, მისი მოვლაც ბევრად მარტივია.

**– რა ღირს დღეს ბაზარზე წედლი თხილი?**

– წინა წლებთან შედარებით, ფასები ძალიან გაიზარდა და გაჩნდა მოთხოვნა თხილის გაშენებაზე. იყო დრო, როდესაც თხილის

ჰქონდა, ამანაც გაზარდა ფასი. წინა წელს ჩვენს ბაზარზე გამხმარი თხილის ფასი 8-10-11 ლარის ფარგლებში მერყეობდა. დღეისთვის ნედლი თხილი 4-5-6 ლარი ღირს. ფასებს შორის განსხვავება ჯიშების მიხედვითაა. ამ ეტაპისთვის ეს ძალიან კარგი ფასია. როდესაც ჰქონდა ფერმერს საშუალოდ ორი ტონა თხილი მოჰყავს, საკმაოდ სოლიდური მოგება რჩება. თხილის ფასების ზრდამ ხალხს მოტივაცია გაუჩინა, კიდევ დაერგო და მოევლო მისთვის. თუ ფერმერები გაითვალისწინებენ „აგროსერვის ცენტრის“ მეთოდებს, რასაც თხილის ნარმობაში ვნერგავთ, ბევრად გაიზრდება მოსავლიანობაც და მათი შემოსავალიც.

**– როგორია მოთხოვნა უცხოეთში ქართულ თხილზე და სად გადის ძირითადად ჩვენი პროდუქტი?**

– თურქეთში, რუსეთში და ყველგან, სადაც შესაძლებელია. მსოფლიო გიგანტებს შორის (თურქეთს, იტალიასა და ასე შემდეგ) საქართველო მე-5, მე-6 ადგილზეა. ეს დიდი საქმეა ასეთი პატარა ქვეყნისთვის. თხილი რეალურად დასაყრდენი ბიზნესია. სამწუხაროდ, ჩვენთან ფერმერები, მცირემინიანობიდან გამომდინარე, ერთ კულტურას ვერ ეჭიდებიან. ეშინიათ შედეგების, ამიტომ თითქმის ყველა კულტურის ნარმობას მისდევენ: მებოსტენობას, მეციტრუსეობას, მეცხოველეობასაც კი.

**– გამხამრი თხილის ფასი როდის ინყებს ზრდას ბაზარზე?**

– თხილის ფასი შემოდგომის ბოლოს იწევს. შშრალი თხილი ყველთვის ბევრად ძვირია. ნედლი თხილი წონაში იკლებს, შშრალის წონა კი გარანტირებულია. შესაბამისად, როდესაც თხილი უკვე გაშრება, მისი ფასიც იმატებს. წელს, ვერ გეტყვით, გაიზრდება თუ არა კიდევ თხილის ფასი, მაგრამ, როგორც წინა წელს – 8-10-11 ლარს არ ჩამოსცდება. რაც მთავარია, უცხოეთი დაინტერესებულია ჩვენით და რაც არ უნდა ბევრი თხილი ანარმონ თურქეთში, ჩვენი პროდუქტისადმი მოთხოვნა არ შემცირდება.



**„უცხოეთი დაინტერესებულია ჩვენით და რაც არ უნდა ბევრი თხილი ანარმონ თურქეთში, ჩვენი პროდუქტისადმი მოთხოვნა არ შემცირდება“**

ები ამუშავებენ მიწას, რომელიც დოკუმენტურად დამომტკიცებული არ აქვთ. სამინისტროს სურვილი აქვს, თანამონაწილეობით დაეხმაროს თითოეულ ფერმერს, მაგრამ ზემოხესენებული გარემოება ამის საშუალებას არ გვაძლევს. ვფიქრობ, სამომავლოდ ესეც დარეგულირდება. „აგროსერვის ცენტრმა“ მიმდინარე წელს, ერთ ჰქონდა ფართობზე დაინტერესების მიხედვით, ეს ნათლად დასტურდება.

ფასი ლარს არ სცდებოდა. მაშინ არც არავინ ცდილობდა მისი ამ მასშტაბებით დარგვასა და გამრავლებას. როგორც კი მოთხოვნა და ფასები გაიზარდა, არა მხოლოდ ევროპის ბაზარზე, არამედ ჩინეთშიც, მიწოდებამაც შესაბამისად მოიმატა. ფერმერმა მასში დასაყრდენი ბიზნესი დაინახა. გასულ წელს მსხმოიარობა დაბალი იყო. თურქეთს ძალიან მცირე მოსავალი

## ახალი კანონი განვითარებულ მოდელით დარღვეული შესახებ

დასაცისი პირველ გვერდზე

სურასათის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, თუ სურასათის შემადგენლობაში არსებული გენეტიკურად მოდიფიცირებული კომპონენტები საერთო მასის 0,9 %-ზე მეტია, მაშინ ეტიკეტის მარცხენა ზედა კუთხეში უნდა იყოს მითითებული წარწერა: „გმ“. კანონით, ეს ნიშანდება მომხმარებლისთვის ადვილად აღქმადი და თვალსაზრისით უნდა იყოს. თუკი სურასათის ეტიკეტირება შეუძლებელია, თანმხლებ დოკუმენტაციაში უნდა იყოს მითითებული ინფორმაცია გენმოდიფიცირებულის შესახებ. ამავე

კანონის თანახმად, ეტიკეტირების წესის დარღვევისთვის ბიზნესოპერატორი დაჯარიმდება 5000 ლარის ოდენობით. განმეორების შემთხვევაში, ჯარიმა ორმაგდება და დამრავლებას. 10000 ლარის გადახდა მოუწევს. სააგენტოს ცნობით, სურასათი, რომლის ეტიკეტზეც არ იქნება მითითებული „გმ“ და ლაბორატორიული კვლევით აღმოჩნდება გენმოდიფიცირებული, ექვემდებარება განადგურებას. თუკი ბიზნესიც სოპერატორი არ გაანადგურებს ასეთ სურასათის ეროვნული სააგენტოს მოთხოვნით, დაჯარიმდება 10 000 ლარით.

## USAID-ის პროექტი საქართველოში

USAID-ის პროექტი საქართველოში ექსტენციისა და საკონსულტაციის მომსახურების გაძლიერებაა. ამ საკითხთან დაკავშირებით, „აგროსერვის ცენტრის“ პროექტის ხელმძღვანელი, ბენუამინ მიულერი ესტუმრა. ვიზიტის მიზანი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს საინფორმაციო-საკუნძულო ფირმაციის მიერთება. რაც მთავარია, უცხოეთი დაინტერესებულია ჩვენით და რაც არ უნდა ბევრი თხილი ანარმონ თურქეთში, ჩვენი პროდუქტისადმი მოთხოვნა არ შემცირდება.

# „აგროსარვის ცენტრში“ ტაბილი ანუ ბულგარული ნინაჯის სათბური ამოქმედი

დასაცისი აირველ გვერდზე

რაც შეეხება მავნებლებს, ბულგარული წინაკა მიეკუთვნება კარტოფილის ოჯახის მცენარეებს, შესაბამისად, ნათესებში, შესაძლებელია კარტოფილის ხოჭოს გამოჩენა. თუმცა, ქიმიური ნაერთების, იგივე პესტიციდების გამოყენების შედეგად, მათი მოცილება მარტივია. პესტიციდების შესარჩევად, აუცილებელია, მიმართოთ მსგავსი პროდუქტების სარეალიზაციის ობიექტებს, სადაც ზუსტად გეტვიან, თუ რა დოზით უნდა გამოყენოთ კონკრეტული პრეპარატი. ხშირად, ჰიბრიდი გენმოდიფიცირებულ პროდუქტში ერევათ. დაიმახსოვრეთ, ჰიბრიდი არის | თაობა, რომელიც საუკეთესო მოსავალს იძლევა. კონკრეტული მცენარის ჯიში ჰიბრიდთან შედარებით, ყოველთვის ნაკლებს ისხამს. ორი სხვადასხვა ჯიშის შეჯვარებით, შესაძლებელია, ან ძალიან კარგი შედეგი მიიღოთ, ან ჰირიქით - ცუდი. აქედან გამომდინარე, ეს რისკის შემცველია. ჰიბრიდში კი, ერთი ჯიშის საუკეთესო თვისებები შენარჩუნებულია, შესაბამისად, უფრო მაღალმოსავლიანი და ყოველთვის გამართლებულია.

„აგროსერვის ცენტრის“ საბური მაქსიმალურად უზრუნველყოფს მაკრო და მიკროელიმატის შექმნას, რაც, საბოლოო ჯამში, მაღალ და ხარისხიან პროდუქტს იძლევა. ასევე, სათბურში დამონტაჟებულია, განათების თანამედროვე სისტემა, რომელიც ზამთარსა

და ხანგრძლივი ღრუბლიანობის პერიოდში, ახდენს მზის სხივების კომპენსაციას, რაც სტაბილური და მაღალი ხარისხის მოსავლისთვის ესოდენ საჭიროა. სათბურში არსებულ „გროუბერგებში“, იგივე ხელოვნურ სუბსტრატზე, დარგულია მცენარეები, ნებისა და

მეურნეებმა, ვინც საკუთარი მცენარის თესლს ინახავთ და არ იყენებთ ჰიბრიდებს, უმჯობესია, მეორე ნაყოფი დაამწიფოთ. იმისთვის, რომ მოსავლიანობა მაღალი იყოს, შენახული თესლი თესვის წინ უნდა გააღვივოთ და შემდეგ გადაიტანოთ მინაში. აღნიშნულ საკითხ-

არჩევის საშუალება ჰქონიდათ. ასევე, გავითვალისწინეთ ბაზრის მომხმარებელი, მსხვილი სავაჭრო ცენტრები, რესტორნები. თუმცა, ჩვენი მთავარი მიზანია, მოსახლეობამ დათესოს, მოსინჯოს ეს ჰიბრიდები და ნახოს რეალური შედეგი - თუ რა შეუძლია მათ. არსებულ ჰიბრიდებს თავისუფლად დათესავთ ღია გრუნტში, ან მინი სათბურებში, რომელიც სამინისტროს მიერ განხორციელებული პროექტის შედეგად გადაეცათ ფერმერებს. ჩვენ არ გვსურს მხოლოდ მიღებული ნაყოფის ბაზარზე რეალიზება. ჩვენ გვინდა, ფერმერებმაც გამოცადონ ეს თესლები და გააშენონ საკუთარ სათბურებში. გარდა ბულგარული წინაკისა, ფერმერებს ასევე, ვთავაზობთ სალათის ფოთლების სხვადასხვა ჯიშსა და მწვანილებულს. ჰიბრიდებთან შედარებით ორმაგი რაოდენობის ნაყოფის მომცემია. „აგროსერვის ცენტრს“ თესლები მსოფლიოში საუკეთესო კომპანიებიდან ჩამოაქვს. შესაბამისად, ის არანაირ საფრთხეს არ წარმოადგენს ვინმესთვის. ჰიბრიდი, მცენარის ჯიშისგან მიღებული ჰირველი თაობაა, რომელსაც ძლიერი მსხმიარობა ახასიათებს. საქართველოში ფერმერებს ოდითგანვე მოსდგამთ საკუთარი წარმოების ჯიშის დათესვა. ეს მათი ნება და ნამდვილად არ ვზღუდავთ არჩევანში, უბრალოდ, ვთავაზობთ უკეთეს ვარიანტს მოსავლიანობასთან დაკავშირებით.



საკვები ელემენტების შენოვის უნარით. თუ, თქვენს სასათბურე მეურნეობაში ბულგარული წინაკის მოყვანას გეგმავთ, მაშინ აუცილებლად გამოგადგებათ „აგროსერვის ცენტრის“ სათბურში მოპოვებული თესლები. ხოლო, თუ ჩვეულებრივ ჰიბრიდებში აპირებთ მის გაშენებას, ზამთრის დასაწყისში ეს ნაკლებშესაძლებელია. ბულგარული წინაკის დათესვისა და მოშენების საუკეთესო პერიოდი გაზაფხულია.

თან დაკავშირებით, თუ ინფორმაციის მიღება გსურთ, შეგიძლიათ, მიმართოთ „აგროსერვის ცენტრს“ და კვალიფიციური აგრონომებისაგან მიიღოთ რჩევები.

**ლევან გოლევაძე („აგროსერვის ცენტრის“ დირექტორის მოადგილე):** ეს არის ბულგარული სადემონსტრაციო ვარიანტი. სწორედ იმიტომ შევარჩიეთ მცენარის რამდენიმე ჯიში, რათა მეურნეებს

## ჩიტაბის დასაფრთხოების ასაფილი ისრალი

დასაცისი აირველ გვერდზე



გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ფრინველთა ზემოქმედება იწყება ნაყოფის შეთვალვიდან და გრძელდება ტექნიკური და ფიზიოლოგიური სიმწიფის მთელ პერიოდში. აღნიშნული პრობლემის აღმოფხვრის მიზნით, „აგროსერვის ცენტრის“ ინიციატივით, ხეხილისა და ბოსტნეულის დასაცავად შეიძინეს, თანამედროვე ტექნოლოგიის დანადგარი, რომელიც ხეხილისა და ბოსტნეულის დაცვის ეფექტური საშუალებაა. დანადგარი ბუნებრივ აირზე მუშაობს, მარტივი აგებულებისაა და მისი გამოყენება სრულიად უსაფრთხოა.

## სამაცნიო-ჯვალის ცენტრის სარმომალგანლაგანა და „აგროსარვის ცენტრის“ საცილისტების რეალიზაცია გაუნდის

დასაცისი აირველ გვერდზე

2013 წელს „აგროსერვის ცენტრის“ სამეცნიერო კვლევითმა ცენტრმა გადასცა გვარა-ხუცუბნის სანერგე მეურნეობაში განთავსებული ვაზისა და ხეხილის ნერგები. მას შემდეგ, ცენტრის წარმომადგენლები ყოველწლიურად ახორციელებენ „აგროსერვის ცენტრის“ ვაზისა და ხეხილის ნერგების ზრდა-განვითარების მონიტორინგს და საჭიროების შემთხვევაში, „აგროსერვის ცენტრის“ სპეციალისტებს კვალიფიციური კონსულტაციებით უზრუნველყოფენ. გვარა-ხუცუბნის სანერგე მეურნეობაში 30-მდე ვაზის სასუფრე და საღინე, ასევე ბლის, მსხლის, ვაშლის, ხურმის, ქლიავის, ბრონეულის, ფეიხოას, მოცვის, კაკლის, ზეთისხილისა და სხვა ხეხილის უცხოური და ქართული ჯიშებია გაშენებული. მათგან ნარმოებულ ახალ ნერგებს „აგროსერვის



ცენტრი“ ფერმერებს თვითორებულების ფასად მიაწვდის. ვაზის 6-მდე ჯიშის ნერგების შექმნა კი ფერმერებს მიმდინარე წლის შემოდგომაზე შეეძლებათ. მათ შორისაა, ჩხავერი და ცოლიკაური.

## „აგროსარვის ცენტრის“ გარეონის მხარდაჭაობით განხორციელებული პროექტების ანგარიშის პროექტის განხილვა

„აგროსერვის ცენტრში“, ENPARD AJARA“ სოფლის მეურნეობის განვითარების მხარდაჭაობით, 2013/2014/2015 წლებში განხორციელებული პროექტების ანგარიშის პრეზენტაცია გაიმართა. პრეზენტაციას ესწრებოდნენ: აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრი ზურა ფუტკარაძე, მინისტრის მოადგილე ავთანდილ მესხიძე, გაეროს განვითარების პროგრამის ეკონომიკური გუნ-

დის ხელმძღვანელი გიორგი ნანობაშვილი, გაეროს პროგრამების ხელმძღვანელი ნათია ნაცვლიშვილი და განვითარების პროექტის მენეჯერი ლაშა კომახიძე. სასოფლო-სამეურნეო კომპერატივის - „ძლიერი ფერმერი“ „ENPARD AJARA“ პროგრამის ფარგლებში საჩუქრად UTO 404 ტიპის ტრაქტორი გადაეცა.

